Magisterprüfungsordnung der Magistratur der Europäischen Rechte der Ivane Javachischvili Staatsuniversität, Tbilissi

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიპო უნივერსიტეტის ევროპული სამართლის მაგისტრატურის დებულება

01. Juli 2001

Die Ivane Javachischvili Staatsuniversität Tbilissi hat am 4. Juli 2001 durch Order Nr. 98 aufgrund Art. 45 des Gesetzes über die Ausbildung vom 27. Juni 1997 (Parlamentis Utskhebebi, Nr. 33, 31.07.1997) die “Magistratur der Europäischen Rechte” gegründet und folgende Magisterprüfungsordnung erlassen:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2001 წლის 4 ივლისის No. 98 ბრძანებით, განათლების შესახებ 1997 წლის 27 ივნისის კანონის (პარლამენტის უწყებები, No. 33, 31.07.1997) 45-ე მუხლის საფუძველზე, დააფუძნა ევროპული სამართლის მაგისტრატურა და მიიღო წინამდებარე მაგისტრატურის დებულება.

Inhalt:

შინაარსი:

1 Magistratur der Europäischen Rechte
ევროპული სამართლის მაგისტრატურა 3

2 Magisterausschuss der Magistratur der Europäischen Rechte
ევროპული სამართლის მაგისტრატურის საბჭო 3

3 Beirat der Magistratur der Europäischen Rechte
ევროპული სამართლის მაგისტრატურის მრჩეველთა საბჭო 4

4 Magisterprüfung
სამაგისტრო გამოცდა (ატესტაცია) 5

5 Magistergrad
მაგისტრის ხარისხი 5

6 Zugangsvoraussetzungen zum Magisterstudium
ევროპული სამართლის მაგისტრატურაში მიღების წესები 5

7 Dauer und Inhalt des Magisterstudiums
მაგისტრატურის სასწავლო კურსის ხანგრძლივობა და შინაარსი 6

8 Organisation der Magisterprüfung
სამაგისტრო გამოცდა 7

9 Magisterarbeit
სამაგისტრო ნაშრომი 8

10 Zulassung zur mündlichen Abschlussprüfung
ზეპირ დასკვნით გამოცდაზე დაშვება 10

11 Mündliche Abschlussprüfung
ზეპირი დასკვნითი გამოცდა 11

12 Feststellung des Gesamtergebnisses und Verleihung der Magisterurkunde
შედეგების განსაზღვრა და მაგისრტის დიპლომის გაცემა 11

13 Versäumnis und Ungültigkeit der Magisterprüfung
გამოცდაზე არგამოცხადება და სამაგისტრო გამოცდის ბათილობა 12

14 Wiederholung der Magisterprüfung
სამაგისტრო გამოცდის გამეორება 14

15 Einsicht in die Prüfungsakten
საგამოცდო აქტების გაცნობა 14

16 Inkrafttreten und Veröffentlichung
ძალაში შესვლა და გამოქვეყნება 15

1. Magistratur der Europäischen Rechte
   ევროპული სამართლის მაგისტრატურა

Die durch die Fakultät für Rechtswissenschaften und die Fakultät für Internationales Recht und Internationale Beziehungen geschaffene “Magistratur der Europäischen Rechte” der Ivane Javachischvili Staatsuniversität Tbilissi bietet die Möglichkeit einer Zusatzausbildung in den europäischen Rechten für Absolventen eines rechtswissenschaftlichen Hochschulstudiums.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და საერთაშორისო სამართლისა და საერთა-შორისო ურთიერთობების ფაკულტეტების ბაზაზე შექმნილი „ევროპული სამართლის მაგისტრატურა” იძლევა დამატებითი განათლების მიღების შესაძლებლობას ევროპულ სამართალში, უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სპეციალისტებისათვის.

2. Magisterausschuss der Magistratur der Europäischen Rechte
   ევროპული სამართლის მაგისტრატურის საბჭო

2.1 Zur Gewährleistung des ordnungsgemäßen Ablaufes des gesamten Studienganges wird ein Magisterausschuss der Magistratur der Europäischen Rechte berufen.

2.1 ევროპული სამართლის მაგისტრატურის სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით იქმნება ევროპული სამართლის მაგისტრატურის საბჭო.

2.2 Der Magisterausschuss setzt sich zusammen aus:

- dem Dekan der Fakultät für Rechtswissenschaften,
- dem Dekan der Fakultät für Internationales Recht und Internationale Beziehungen,
- dem Leiter der Magisterabteilung sowie
- den Professoren und Dozenten der Magistratur der Europäischen Rechte.

Jedes Mitglied des Magisterausschusses hat eine Stimme.

2.2 აბჭოს შემადგენლობაში შედიან:

- იურიდიული ფაკულტეტის დეკანი,
- საერთაშორისო სამართლისა და საერთა-შორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი,
- მაგისტრატურის განყოფილების ხელმძღვანელი და
- ევროპული სამართლის მაგისტრატურის პროფესორ-მასწავლებლები.

მაგისტრატურის საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

2.3 Der Magisterausschuss koordiniert den ordnungsgemäßen Ablauf des gesamten Studienganges, insbesondere

- entscheidet der Magisterausschuss über die Zulassung der Magistranten,
- bestätigt das Thema der Magisterarbeit,
- stellt die Abnahme der Magisterprüfung sicher,
- beschließt die Verleihung des akademischen Magistergrades und die Vergabe der diesen bescheinigenden Magisterurkunde.

2.3 ევროპული მაგისტრატურის საბჭო კოორდინაციას უწევს სასწავლო პროცესის სრულყოფილ წარმართვას, კერძოდ:

- ახორციელებს მაგისტრანტების შერჩევას,
- ამტკიცებს სამაგისტრო ნაშრომის თემას,
- უზრუნველყოფს სამაგისტრო გამოცდის (ატესტაციის) ორგანიზებას,
- იღებს გადაწყვეტილებას მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების და შესაბამისი დიპლომის გაცემის თაობაზე.

3. Beirat der Magistratur der Europäischen Rechte
ევროპული სამართლის მაგისტრატურის მრჩეველთა საბჭო

3.1 Der Beirat der Magistratur der Europäischen Rechte unterstützt die Magistratur in jeglicher Art und Weise im Ablauf des Magisterstudiums und gibt Impulse für eine fruchtbare Weiterentwicklung des Magisterstudienganges. Die Mitglieder des Beirates der Magistratur der Europäischen Rechte werden vom Rektorat auf Vorschlag des Magisterrates ernannt. Bei den Mitgliedern des Beirates soll es sich sowohl um georgische als auch um ausländische verdientgemachte Persönlichkeiten handeln.

3.1 ევროპული სამართლის მაგისტრატურის მრჩეველთა საბჭო შედგება მაგისტრატურის საბჭოს წარდგინების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორატის მიერ დანიშნულ იმ ღირსეულ ქართველ და უცხოელ მოღვაწეთაგან, რომლებიც თავიანთი რჩევითა და თანადგომით ხელს უწყობენ ევროპული სამართლის მაგისტრატურის სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვას და დასახული მიზნების სრულფასოვნად განხორციელებას.

3.2 Die Mitglieder des Beirates der Magistratur der Europäischen Rechte wählen einen Vorsitzenden, der die Tätigkeit des Beirates koordiniert, insbesondere den Beirat mindestens einmal jährlich zur Tagung einberuft und deren Vorsitz übernimmt.

3.2 ევროპული სამართლის მაგისტრატურის მრჩეველთა საბჭოს წევრები ირჩევენ თავმჯდომარეს, რომელიც კოორდინაციას უწევს საბჭოს საქმიანობას; იგი მინიმუმ წელიწადში ერთხელ იწვევს და თავმჯდომარეობს საბჭოს სხდომებს.

3.3 Die Amtszeit der Mitglieder des Beirates der Magistratur der Europäischen Rechte beläuft sich auf drei Jahre. Jedes Mitglied des Beirates ist berechtigt, Vorschläge zur Gestaltung des Magisterstudienganges zu unterbreiten sowie Lehrtätigkeit als Gastdozent auszuüben.

3.3 მრჩეველთა საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა შეადგენს სამ წელიწადს. თითოეულ მათგანს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა ევროპული მაგისტრატურის სასწავლო პროგრამების შემდგომ დახვეწაში, აგრეთვე წაიკითხოს ლექციები მოწვეული ლექტორის სტატუსით.

4. Magisterprüfung
სამაგისტრო გამოცდა (ატესტაცია)

4.1 Das Magisterstudium schließt mit einer Magisterprüfung ab. Die Magisterprüfung besteht aus einer den hohen Anforderungen des Studiums gerecht werdenden Magisterarbeit und einer mündlichen Abschlussprüfung.

4.1 მაგისტრატურის სასწავლო კურსი მთავრდება სამაგისტრო გამოცდით. სამაგისტრო გამოცდა მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის სათანადო დონეზე შესრულებასა და დასკვნით ზეპირ გამოცდას.

4.2 Mit der Magisterprüfung soll der Magistrant nachweisen, dass er über spezielle Kenntnisse in den europäischen Rechten verfügt und auf einem diesbezüglichen selbstgewählten Rechtsgebiet selbständig wissenschaftlich zu arbeiten vermag.

4.2 სამაგისტრო გამოცდაზე მაგისტრანტმა უნდა დაამტკიცოს, რომ მას გააჩნია ევროპული სამართლის სათანადო ცოდნა და შესწევს მის მიერ შერჩეულ სამართლის სფეროში დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის უნარი.

5. Magistergrad
მაგისტრის ხარისხი

Aufgrund des Magisterstudiums und bestandener Magisterprüfung verleiht die Ivane Javachischvili Staatsuniversität Tbilissi den akademischen Grad “Legum Magister Europae (Tbilisi)”, abgekürzt “LL.M.Eur (Tbilisi)”.

მაგისტრატურის სასწავლო კურსის გავლის და სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარების საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ანიჭებს მაგისტრანტს „ევროპული სამართლის მაგისტრის”, შემოკლებით ”LL.M.Eur (Tbilisi)”, აკადემიურ ხარისხს.

6. Zugangsvoraussetzungen zum Magisterstudium
ევროპული სამართლის მაგისტრატურაში მიღების წესები

6.1 Zum Magisterstudium kann zugelassen werden, wer ein juristisches Hochschulstudium abgeschlossen hat und ausreichende Kenntnisse der deutschen Sprache besitzt.

6.1 ევროპული სამართლის მაგისტრატურაში ჩაირიცხება უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე კონკურსანტი, რომელსაც გააჩნია გერმანული ენის საკმარისი ცოდნა.

6.2 Der Nachweis über ausreichende Kenntnisse der deutschen Sprache erfolgt durch Vorlage von Zeugnissen anerkannter Sprachprüfungen (PNDS, DaF, Deusches Sprachdiplom des Goethe-Institutes oder gleichwertiger Leistungsnachweise).

6.2 გერმანული ენის საკმარისი ცოდნის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ენის ცოდნის დამადასტურებელი გამოცდის ჩაბარების სერთიფიკატი (შ, ა, გოეთეს ინსტიტუტის დიპლომი) ან სხვა მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.

6.3 Der Zugang zum Magisterstudium unterliegt einem numerus clausus hinsichtlich der Anzahl der Magistranten, der vom Magisterausschuss im Einvernehmen mit dem Rektorat vor Beginn jedes Studienjahres festgelegt wird. Die Zulassung zum Magisterstudium erfolgt mittels eines Auswahlverfahrens, in dessen Rahmen ein Bewerbungsgespräch stattfindet. Dieses kann sich auf die sprachlichen und fachlichen Kenntnisse und Fähigkeiten des Bewerbers erstrecken.

6.3 მაგისტრატურაში ჩარიცხულ მაგისტრანტების რაოდენობა ლიმიტირებულია; ზუსტი რაოდენობა განისაზღვრება სასწავლო წლის დასაწყისამდე მაგისტრატურის საბჭოს მიერ რექტორატთან შეთანხმებით. მაგისტრატურაში ჩარიცხვა წარმოებს სათანადო კონკურსის საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც ტარდება გასაუბრება. გასაუბრება შეეხება კონკურსანტის ცოდნას ენასა და სპეციალობაში

6.4 Der Magisterausschuss stellt fest, ob ein Kandidat zum Magisterstudium zugelassen ist und teilt diese Entscheidung dem Bewerber mit.

6.4 მაგისტრატურის საბჭო განსაზღვრავს, არსებობს თუ არა მაგისტრატურაში მიღების წინაპირობები და გადაწყვეტილებას აცნობებს კონკურსანტს.

6.5 Das Magisterstudium ist gebührenpflichtig. Die Höhe der Gebühr wird als universitärer Tarif von der Universität vor Beginn jedes Studienjahres festgelegt.

6.5 ევროპული სამართლის მაგისტრატურაში სწავლება ფასიანია. საფასურის ოდენობა განისაზღვრება თითოეული სასწავლო წლისათვის დადგენილი საუნივერსიტეტო ტარიფების შესაბამისად.

7. Dauer und Inhalt des Magisterstudiums

მაგისტრატურის სასწავლო კურსის ხანგრძლივობა და შინაარსი

7.1 Das Magisterstudium dauert einschließlich der Magisterprüfung mindestens zwei Semester. Ein Semester umfasst dabei zwölf Studienwochen. Die Magisterarbeit soll im zweiten Studiensemester angefertigt werden.

7.1 მაგისტრატურის სასწავლო კურსის ხანგრძლივობა, სამაგისტრო გამოცდის ჩათვლით, შეადგენს მინიმუმ ორ სემესტრს. თითოეული სემესტრის ხანგრძლივობაა თორმეტი კვირა. სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის შერჩევა და მისი მომზადება მიზანშეწონილია განხორციელდეს მეორე სემესტრში.

7.2 Im Rahmen des Magisterstudiums hat der Magistrant die Wahl zwischen verschiedenen Schwerpunktbereichen. Art und Anzahl der angebotenen Schwerpunktbereiche werden vom Magisterausschuss vor Beginn des jeweiligen Studienjahres festgelegt.

7.2 მაგისტრანტს ეძლევა სპეციალიზაციის არჩევის შესაძლებლობა. შეთავაზებულ სპეციალიზაციათა ნუსხა დგინდება მაგისტრატურის საბჭოს მიერ თითოეული სასწავლო წლის დასაწყისამდე.

7.3 Für jede im Rahmen des Magisterstudiums angebotene Veranstaltung (Pflicht- und Wahlfächer) werden je nach Dauer und Umfang sogenannte “Leistungspunkte” vergeben. Der Magistrant muss mindestens 32 solcher Leistungspunkte nachweisen können. Die Mindestanzahl der erforderlichen Leistungspunkte kann vom Magisterausschuss vor Beginn des Studienjahres erhöht werden.

7.3 მაგისტრატურის სასწავლო კურსის თითოეულ (სავალდებულო და არჩევით) საგანში, ლექციის საათობრივი ხანგრძლივობის და საგნის მოცულობის შესაბამისად, ხორციელდება „კრედიტების” გაცემა. მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 32 კრედიტი. კრედიტების სავალდებულო რაოდენობა შესაძლებელია მაგისტრატურის საბჭოს მიერ გაიზარდოს სასწავლო წლის დასაწყისამდე.

7.4 Leistungspunkte werden durch erfolgreich bestandene Prüfungen – insbesondere Klausuren mit oder ohne mündlicher Prüfung oder Referate mit Hausarbeit – erworben. Prüfungen sind mit den in Punkt 9.9 aufgeführten Noten zu bewerten.

7.4 კრედიტის მისაღებად აუცილებელია წერილობითი ან ზეპირი გამოცდის ჩაბარება. გამოცდის შეფასება ხდება 9.9 პუნქტის შესაბამისად.

7.5 Die Schwerpunktbereiche und Veranstaltungen, die im jeweiligen Studienjahr des Magisterstudiums angeboten werden, bestimmen sich nach dem Anhang “Schwerpunktbereiche und Veranstaltungen”.

7.5 მაგისტრატურის სასწავლო კურსის სპეციალობათა ნუსხა და საგნების ჩამონათვალი განისაზღვრება დანართით „სპეციალიზაცია და საგნები”.

8. Organisation der Magisterprüfung
სამაგისტრო გამოცდა

8.1 Der Magisterausschuss organisiert den Ablauf der Magisterprüfung und ist insbesondere für die Bestellung der Prüfenden zuständig. Wird eine mündliche Prüfung von mehreren Prüfenden (Prüfungskommission) abgenommen, ist einer der Prüfenden zum Prüfungsvorsitzenden zu ernennen. Für die Bewertung der Magisterarbeit sind zwei Prüfende zu bestellen.

8.1 მაგისტრატურის საბჭო უზრუნველყოფს სამაგისტრო გამოცდის ორგანიზებას და გამომცდელების შერჩევას. თუკი გამოცდას რამდენიმე გამომცდელი (კომისია) იბარებს, ერთ-ერთი გამომცდელი დანიშნულ უნდა იქნეს თავმჯდომარედ. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება უნდა მოხდეს ორი რეცენზენტის მიერ.

8.2 Zur Abnahme der Prüfungen werden Lehrkräfte der Ivane Javachischvili Staatsuniversität Tbilissi und/oder einer anderen Hochschule berufen, die in dem betreffenden Prüfungsfach oder in einem Teilgebiet des Prüfungsfaches zur selbständigen Lehre berechtigt sind. Zu Prüfenden dürfen nur Personen bestellt werden, die selbst mindestens die durch die Prüfung festzustellende oder eine gleichwertige Qualifikation besitzen.

8.2 გამომცდელებად ინიშნებიან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და/ან სხვა უმაღლესი სასწავლებლების ის წარმომადგენლები, რომელთაც გამოცდის საგანში მინიჭებული აქვთ დამოუკიდებლად სწავლების უფლება. გამომცდელი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვისაც გააჩნია გამოცდით დასადგენი ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაცია.

8.3 Die Prüfenden sind in ihrer Prüfungstätigkeit unabhängig.

8.3 გამომცდელები დამოუკიდებელნი არიან თავიანთ საგამოცდო საქმიანობაში.

9. Magisterarbeit
სამაგისტრო ნაშრომი

9.1 Mit der Magisterarbeit soll der Magistrant nachweisen, dass er in den europäischen Rechten selbständig wissenschaftlich zu arbeiten vermag.

9.1 სამაგისტრო ნაშრომით მაგისრანტმა უნდა წარმოაჩინოს, რომ მას ევროპულ სამართალში დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის და შედეგების ანალიტიკურად გადმოცემის უნარი შესწევს.

9.2 Das Thema der Magisterarbeit wird vom Magistranten im Einvernehmen mit dem Erstgutachter (Betreuer) gewählt und auf Vorschlag des Erstgutachters (Betreuers) vom Magisterausschuss festgelegt.

9.2 სამაგისტრო ნაშრომის თემას მაგისტრანტი ირჩევს პირველ რეცენზენტთან (ხელმძღვანელთან) შეთანხმებით. სამაგისტრო ნაშრომის თემას ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს მაგისტრატურის საბჭო.

9.3 Als Erstgutachter (Betreuer) werden Personen mit der in Punkt 8.2 beschriebenen Qualifikation bestellt.

9.3 სამაგისტრო თემის ხელმძღვანელად შესაძლებელია შერჩეულ იქნენ 8.2 პუნქტში ჩამოთვლილი პირები.

9.4 Der Ausgabezeitpunkt des Themas der Magisterarbeit ist aktenkundig zu machen. Die Bearbeitungszeit beträgt vier Monate. Sie kann im Einzelfall auf begründeten Antrag des Magistranten im Einvernehmen mit dem Erstgutachter (Betreuer) um bis zu einen Monat verlängert werden.

9.4 სამაგისტრო თემის სახელწოდება და გაცემის თარიღი ექვემდებარება სათანადო რეგისტრაციას. თემის დამუშავების ვადა შეადგენს ოთხ თვეს. სათანადოდ დასაბუთებულ გამონაკლის შემთხვევებში, მაგისტრანტის განცხადების და თემის ხელმძვანელის რეკომენდაციის საფუძველზე, შესაძლებელია ვადის ერთი თვით გაგრძელება.

9.5 Die Magisterarbeit ist grundsätzlich in deutscher Sprache in Maschinenschrift anzufertigen. In Ausnahmefällen kann der Magisterausschuss auf schriftlich begründeten Antrag gestatten, dass die Magisterarbeit in einer anderen europäischen Sprache verfasst wird.

9.6 Der Magistrant muss der Magisterarbeit eine schriftliche Versicherung beifügen, dass er die Arbeit selbständig verfasst und keine anderen als die angegebenen Hilfsmittel benutzt hat.

9.7 Der Magistrant hat die Arbeit innerhalb der Bearbeitungsfrist beim Magisterauschuss einzureichen. Wird die Arbeit verspätet abgeliefert, gilt sie als “nicht bestanden”.

9.8 Die Magisterarbeit ist von zwei Gutachtern zu beurteilen. Sie wird nach der Bewertung durch den Erstgutachter (Betreuer) über den Magisterausschuss an den Zweitgutachter weitergeleitet.

9.9 Die Magisterarbeit wird mit folgenden Noten bewertet:

“5” entspricht “ausgezeichnet” – eine hervorragende Leistung, die erheblich über durchschnittlichen Anforderungen liegt;

“4” entspricht “gut” – eine Leistung, die über durchschnittlichen Anforderungen liegt;

“3” entspricht “ausreichend” – eine Leistung, die trotz ihrer Mängel noch durchschnittlichen Anforderungen genügt;

“2” entspricht “nicht ausreichend” – eine Leisung, die wegen erheblicher Mängel durchschnittlichen Anforderungen nicht mehr entspricht.

9.5 სამაგისტრო ნაშრომი უნდა იქნეს შესრულებული გერმანულ ენაზე და წარმოდგენილი ნაბეჭდი სახით. წერილობითი განცხადებით სათანადოდ დასაბუთებულ გამონაკლის შემთხვევებში, მაგისტრატურის საბჭო უფლებამოსილია მაგისტრანტს ნება დართოს, იგი წარმოადგინოს სხვა ევროპულ ენაზე.

9.6 სამაგისტრო ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს მაგისტრანტის წერილობითი ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ ნაშრომი შესრულებულია მის მიერ დამოუკიდებლად და მას არ უსარგებლია მითითებულის გარდა სხვა წყაროებით.

9.7 სამაგისტრო ნაშრომი დამუშავებისათვის გამოყოფილ ვადაში უნდა წარედგინოს მაგისტრატურის საბჭოს. დაგვიანებით ჩაბარების შემთხვევაში ნაშრომი შეფასდება „არადამაკმაყოფილებლად”.

9.8 სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება ორი რეცენზენტის მიერ; თემის ხელმძღვანელის მიერ რეცენზირების შემდგომ, მაგისტრატურის საბჭო ნაშრომს გადასცემს მეორე რეცენზენტს.

9.9 გამოიყენება შემდეგი შეფასებები:

„ფრიადი/ძალიან კარგი” (5) განსაკუთრებულად ღირშესანიშნავი შედეგი,

„კარგი” (4) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს,

„დამაკმაყოფილებელი” (3) შედეგი, რომელიც ნაკლის მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს,

„არადამაკმაყოფილებელი” (2) შედეგი, რომელიც არსებითი ნაკლის გამო წაყენებულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

9.10 Weichen die Gutachter in der Bewertung der Magisterarbeit in mindestens zwei Notenstufen voneinander ab, bestellt der Magisterausschuss einen dritten Gutachter. Kommt es durch dessen Vermittlung nicht zu einer einheitlichen Entscheidung, müssen die drei Gutachter eine Mehrheitsentscheidung treffen.

9.10 თუკი რეცენზენტების შეფასებებში არსებითი სხვაობაა, მაგისტრატურის საბჭო ნაშრომს შესამოწმებლად გადასცემს დამატებით რეცენზენტს. თუკი მესამე რეცენზენტის შეფასების შემდგომაც შეუძლებელია ნაშრომის ცალსახად შეფასება, სამმა რეცენზენტმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ერთობლივად, ხმათა უმრავლესობით.

9.11 Bei Bewertung der Magisterarbeit mit “nicht ausreichend” ist die Magisterprüfung nicht bestanden. Die abgelehnte Arbeit verbleibt bei den Akten.

9.11 ნაშრომის „არადამაკმაყოფილებლად” შეფასების შემთხვევაში, სამაგისტრო გამოცდა ჩაითვლება ვერჩაბარებულად. ნაშრომი შეინახება მაგისტრატურის საბჭოს არქივში.

10. Zulassung zur mündlichen Abschlussprüfung
ზეპირ დასკვნით გამოცდაზე დაშვება

10.1 Zur mündlichen Abschlussprüfung wird ein in der Magistratur der Europäischen Rechte immatrikulierter Magistrant auf schriftlichen Antrag zugelassen, wenn er während des Magisterstudiums die erforderlichen 32 Leistungspunkte erworben, eine mit mindestens “ausreichend” bewertete Magisterarbeit vorgelegt und die fällige Studiengebühr entrichtet hat.

10.1 ზეპირ დასკვნით გამოცდაზე წერილობითი განცხადების საფუძველზე დაიშვება ევროპული სამართლის მაგისტრატურაში ჩარიცხული მაგისტრანტი, რომელმაც: მაგისტრატურის სასწავლო კურსის მსვლელობისას მიიღო მინიმუმ 32 კრედიტი, წარმოადგინა სულ მცირე „დამაკმაყოფილებლით” შეფასებული სამაგისტრო ნაშრომი და გადახდილი აქვს სწავლის სრული საფასური.

10.2 Sind die Zulassungsvoraussetzungen erfüllt, so setzt der Magisterausschuss den Termin für die mündliche Abschlussprüfung im Einvernehmen mit dem Prüfer oder der Prüfungskommission fest und teilt den Termin dem Magistranten mit.

10.2 თუკი გამოცდაზე დაშვებისათვის აუცილებელი პირობები შესრულებულია, მაგისტრატურის საბჭო გამომცდელებთან შეთანხმებით ნიშნავს ზეპირ დასკვნით გამოცდას და თარიღს ატყობინებს მაგისტრანტს.

11. Mündliche Abschlussprüfung
ზეპირი დასკვნითი გამოცდა

11.1 Die mündliche Abschlussprüfung bezieht sich auf den Inhalt der Magisterarbeit und auf den jeweiligen Gegenstand der Veranstaltungen, in denen der Magistrant Leistungspunkte erworben hat. In der mündlichen Abschlussprüfung soll der Magistrant zudem nachweisen, dass er die Grundlagen der europäischen Rechte erfasst hat und insbesondere in der Lage ist, diese im Hinblick auf den von ihm gewählten Schwerpunktbereich anzuwenden.

11.1 ზეპირი დასკვნითი გამოცდა შეეხება სამაგისტრო ნაშრომის თემას და იმ საგნებს, რომლებშიც მაგისტრანტმა მოიპოვა სათანადო კრედიტები. მაგისტრანტმა ზეპირ გამოცდაზე უნდა წარმოაჩინოს, რომ მან შეისწავლა ევროპული სამართლის საფუძვლები და მის მიერ შერჩეული სპეციალიზაციის შესაბამისად მილებული ცოდნის გამოყენების უნარი შესწევს.

11.2 Die mündliche Abschlussprüfung ist eine Einzelprüfung und soll die Dauer von 30 Minuten nicht überschreiten.

11.2 თითოეული მაგისტრანტი გამოიცდება ინდივიდუალურად. გამოცდის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს.

11.3 Für die Bewertung der mündlichen Abschlussprüfung gilt Punkt 9.9 entsprechend. Der Vorsitzende der Prüfungskommission nach Beratung mit den übrigen Prüfern verkündet das Ergebnis am Ende der mündlichen Abschlussprüfung. Die wesentlichen Gegenstände und Ergebnisse der Prüfung sind in einem Protokoll festzuhalten.

11.3 ზეპირი დასკვნითი გამოცდის შეფასებისას გამოიყენება 9.9 პუნქტის შეფასებების სისტემა. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებთან მოთათბირების შემდეგ აცხადებს გამოცდის შედეგებს. გამოცდის შედეგები უნდა იქნეს საგამოცდო ოქმში ასახული.

11.4 Bei Bewertung der mündlichen Abschlussprüfung mit “nicht ausreichend” ist die Magisterprüfung nicht bestanden. Das Protokoll verbleibt bei den Akten.

11.4 ზეპირი დასკვნითი გამოცდის „არადამაკმაყოფილებლად” შეფასების შემთხვევაში სამაგისტრო გამოცდა ჩაითვლება ვერჩაბარებულად. ოქმი ინახება.

12. Feststellung des Gesamtergebnisses und Verleihung der Magisterurkunde
შედეგების განსაზღვრა და მაგისრტის დიპლომის გაცემა

12.1 Die Magisterprüfung ist bestanden, wenn sowohl Magisterarbeit als auch mündliche Abschlussprüfung mit mindestens “ausreichend” bewertet wurden.

12.1 სამაგისტრო გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სამაგისტრო ნაშრომი და დასკვნითი ზეპირი გამოცდა სულ მცირე „დამაკმაყოფილებლით” არის შეფასებული.

12.2 Der Magisterausschuss setzt eine Gesamtnote fest. Diese wird aus den Ergebnissen der Magisterarbeit und der mündlichen Abschlussprüfung gebildet. Die Note der Magisterarbeit geht mit 2/3, die Note der mündlichen Prüfung mit 1/3 in die Gesamtbewertung ein.

12.2 მაგისტრატურის საბჭო განსაზღვრავს საბოლოო ნიშანს, რომელიც შედგება სამაგისტრო ნაშრომისა და დასკვნითი ზეპირი გამოცდის შეფასებებისაგან. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება შეადგენს საბოლოო ნიშნის 2/3, ხოლო დასკვნითი ზეპირი გამოცდისა 1/3.

12.3 Ist die Magisterprüfung nicht bestanden oder gilt sie als nicht bestanden (Punkte 9.7 und 13.1), erteilt der Magisterausschuss dem Kandidaten hierüber einen schriftlichen Bescheid. Der Bescheid enthält eine Rechtsbehelfsbelehrung und gibt Auskunft über die Möglichkeit, die Prüfung ganz oder teilweise zu wiederholen.

12.3 სამაგისტრო გამოცდის ვერ ჩაბარების ან ვერჩაბარებულად გამოცხადების შემთხვევაში (9.7 და 13.1 პუნქტები), აღნიშნულის თაობაზე მაგისტრატურის საბჭო წერილობით ატყობინებს მაგისტრანტს და აცნობებს მას გამოცდის განმეორებით ჩაბარების შემდგომი შესაძლებლობის შესახებ.

12.4 Ist die Magisterprüfung bestanden, stellt die Ivane Javachischvili Staatsuniversität Tbilissi eine Magisterurkunde aus. Sie enthält die Gesamtnote im Sinn des Punktes 12.2 und beurkundet die Verleihung des akademischen Grades “Magister Legum Europae (Tbilisi)”, abgekürzt “LL.M.Eur (Tbilisi)”. Die Urkunde wird vom Rektor der Ivane Javachischvili Staatsuniversität Tbilissi, dem Dekan der Fakultät für Rechtswissenschaften und dem Dekan der Fakultät für Internationales Recht und Internationale Beziehungen unterzeichnet und trägt das Siegel der Ivane Javachischvili Staatsuniversität Tbilissi.

12.4 სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, მაგისტრატურის საბჭო ღებულობს გადაწყვეტილებას მაგისტრის დიპლომის გაცემის შესახებ. დიპლომში ჩაიწერება გამოცდის საბოლოო ნიშანი (12.2 პუნქტის შესაბამისად), არჩეული სპეციალიზაცია და მინიჭებული აკადემიური ხარისხი – „ევროპული სამართლის მაგისტრი (თბილისი)”, შემოკლებით “LL.M.Eur (Tbilisi)”.დიპლომს ხელს აწერენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი და საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი. დიპლომს დაესმის უნივერსიტეტის ბეჭედი.

12.5 Wird der akademische Magistergrad im Rahmen einer interuniversitären Vereinbarung verliehen, sind die Bestimmungen dieser Vereinbarung vorrangig anzuwenden.

12.5 თუ ხორციელდება მაგისტრის ხარისხის ერთობლივად მინიჭება უნივერსიტეტთაშორისი შეთანხმების საფუძველზე, ამ შეთანხმების დებულებებს გააჩნიათ უპირატესი ძალა.

13. Versäumnis und Ungültigkeit der Magisterprüfung
გამოცდაზე არგამოცხადება და სამაგისტრო გამოცდის ბათილობა

13.1 Eine Prüfungsleistung gilt als nicht bestanden, wenn der Magistrant zum Termin einer Prüfung, insbesondere der mündlichen Abschlussprüfung, nicht erscheint oder nach Zulassung zur Magisterprüfung von dieser zurücktritt, es sei denn, die für die Versäumnis oder den Rücktritt maßgebenden Gründe sind unverschuldet.

13.1 გამოცდა ჩაითვლება არჩაბარებულად, როდესაც მაგისტრანტი არ გამოცხადდება გამოცდაზე ან გამოცდაზე დაშვების შემდეგ, უარს იტყვის მის ჩაბარებაზე, თუ არ არსებობს სათანადო საპატიო მიზეზი.

13.2 Diese Gründe müssen dem Magisterausschuss unverzüglich schriftlich mitgeteilt und beispielsweise durch Vorlage eines ärztlichen Attestes glaubhaft gemacht werden. Erkennt der Magisterausschuss die Gründe als ausreichende Entschuldigung an, wird dem Magistranten dies mitgeteilt und ein neuer Termin festgesetzt.

13.2 საპატიო მიზეზების არსებობის თაობაზე დაუყოვნებლივ წერილობით უნდა ეცნობოს მაგისტრატურის საბჭოს და წარედგინოს ამ გარემოებათა დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგალითად, ექიმის ცნობა). თუ მაგისტრატურის საბჭო წარმოდგენილ მიზეზებს საპატიოდ მიიჩნევს, ამის შესახებ ეცნობება მაგისტრანტს და დაინიშნება გამოცდის ახალი თარიღი.

13.3 Eine Prüfungsleistung gilt ferner als nicht bestanden, wenn der Magistrant das Ergebnis durch unlautere Mittel, insbesondere Täuschung, zu beeinflussen versucht.

13.3 გამოცდა ჩაითვლება არჩაბარებულად, თუ მაგისტრანტი შედეგზე ზემოქმედების მოხდენას მოტყუების ან მასთან გათანაბრებული სხვა გზით შეეცადა.

13.4 Das Vorliegen einer Situation nach Punkt 13.1 oder Punkt 13.3 stellt der Magisterausschuss fest. Der Magisterausschuss hat seine Entscheidung schriftlich zu begründen, mit einer Rechtsbehelfsbelehrung zu versehen und dem Magistranten unverzüglich mitzuteilen. Vor der Entscheidung ist der Magistrant anzuhören.

13.4 გადაწყვეტილებას 13.1 ან 13.3 პუნქტში მოყვანილი გარემოებების არსებობის თაობაზე ილებს მაგისტრატურის საბჭო. საბჭოს გადაწყვეტილება უნდა იქნეს წერილობით დასაბუთებული და დაუყოვნებლივ ეცნობოს მაგისტრანტს. გადაწყვეტილების მიღებამდე საბჭომ უნდა მოისმინოს მაგისტრანტის საპასუხო არგუმენტები.

13.5 Lag eine Situation im Sinn des Punktes 13.3 vor und wird dies erst nach Aushändigung der Magisterurkunde bekannt, erklärt der Magisterausschuss die Magisterprüfung ganz oder teilweise für nicht bestanden.

13.5 თუ მაგისტრანტმა სამაგისტრო გამოცდის მსვლელობაში ჩაიდინა 13.3 პუნქტით გათვალისწინებული დარღვევა, რომელიც სამაგისტრო დიპლომის გაცემის შემდეგ გახდა ცნობილი, მაგისტრატურის საბჭო უფლებამოსილია სამაგისტრო გამოცდა მთლიანად ან ნაწილობრივ არ ჩაბარებულად (ბათილად) გამოაცხადოს.

13.6 Hat der Magisterausschuss die Prüfung nach Punkt 13.5 für nicht bestanden erklärt, wird die Magisterurkunde zurückgefordert und Magistregrad entnohmen.

13.6 თუ მაგისტრატურის საბჭო 13.5 პუნქტის შესაბამისად სამაგისტრო გამოცდას მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად გამოაცხადებს, სამაგისტრო დიპლომი უნდა იქნეს ჩამორთმეული და მინიჭებული ხარისხი გაუქმებული.

14. Wiederholung der Magisterprüfung
სამაგისტრო გამოცდის გამეორება

14.1 Wurde die Magisterarbeit nicht mit mindestens “ausreichend” bewertet oder gilt sie als nicht bestanden, kann in einem erneuten Prüfungsverfahren einmalig eine weitere Magisterarbeit eingereicht werden. Der Antrag auf Wiederholung ist innerhalb von sechs Monaten nach Bekanntgabe der Ablehnung bei dem Magisterausschuss zu stellen. Für die Zulassung und Anfertigung der neuen Magisterarbeit gilt Punkt 9 entsprechend.

14.1 თუ სამაგისტრო ნაშრომი არ იქნა მიღებული ან დადებითად შეფასებული, შესაძლებელია კიდევ ერთხელ ახალი ნაშრომის წარმოდგენა. განცხადება ახალი ნაშრომის წარმოდგენის თაობაზე უნდა წარედგინოს მაგისტრატურის საბჭოს შედეგის გამოცხადებიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა. ახალი სამაგისტრო ნაშრომის მიმართ მოქმედებს მე-9 პუნქტით გათვალისწინებული წესები.

14.2 Ist die mündliche Abschlussprüfung nicht bestanden oder gilt sie als nicht bestanden, kann sie einmalig wiederholt werden. Der Antrag auf Wiederholung der mündlichen Abschlussprüfung ist innerhalb von sechs Monaten nach Bekanntgabe des Nichtbestehens bei dem Magisterausschuss zu stellen. Für die Abnahme der erneuten mündlichen Abschlussprüfung gelten Punkte 10 und 11 entsprechend.

14.2 თუ სამაგისტრო დასკვნითი ზეპირი გამოცდა არ იქნა დადებითად შეფასებული, შესაძლებელია მისი ერთხელ გამეორება. განცხადება ზეპირი გამოცდის განმეორებით ჩაბარების თაობაზე უნდა წარედგინოს მაგისტრატურის საბჭოს გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა. გამოიყენება მე-10 და მე-11 პუნქტები.

14.3 Wird eine Frist nach Punkt 14.1 oder Punkt 14.2 versäumt und hat der Magistrant das Versäumnis zu vertreten, so erlischt der Prüfungsanspruch.

14.3 გამოცდის ხელმეორედ ჩაბარების მოთხოვნის უფლება უქმდება 14.1 და 14.2 პუნქტებში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ.

15. Einsicht in die Prüfungsakten
საგამოცდო აქტების გაცნობა

Nach Abschluss des Prüfungsverfahrens kann der Magistrant die Prüfungsakten einsehen. Der Antrag ist binnen eines Monats an den Magisterausschuss zu richten.

გამოცდის დასრულების შემდეგ მაგისტრანტი უფლებამოსილია გაეცნოს საგამოცდო ოქმს. აღნიშნულის თაობაზე მან გამოცდის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში განცხადებით უნდა მიმართოს მაგისტრატურის საბჭოს.

16. Inkrafttreten und Veröffentlichung
ძალაში შესვლა და გამოქვეყნება

Diese Magisterordnung tritt am Tag nach ihrer Veröffentlichung in Kraft.

მაგისტრატურის დებულება ძალაში შედის მისი გამოქვეყნებისთანავე.

Tbilissi, 01.07.2001
თბილისი, 01.07.2001

აკადემიკოსი როინ მეტრეველი

Der Rektor der Ivane Javachischvili Staatsuniversität Tbilissi.
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი